ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2470252

ნომერი: AR1378291

თარიღი : 14.02.2016

გაცემის თარიღი : 10.03.2016

გაცნობის თარიღი : 10.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 156 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა მაჭარაშვილი პ/ნ 53001006581
- წყალტუბო თამარ მეფის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან საპროექტო ავტოსადგომის განთავსება ხორციელდება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე და ასევე საპროექტო ტერიტორია ყვება ,,საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია – მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ შეზღუდვაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არქიტექტურის სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და ელექტრონული საქმისწარმოების გზით საკითხი შემდგომი განხილვისათვის გადააგზავნა სსიპ ქონების მართვის სააგენტოში და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პასუხის თანახმად, საჭიროა ისარგებლოთ სააგენტოს სერვისით და მოთხოვნა დააყენოთ – ხაზობრივი ნაგებობა: სამუშაოს წარმოებაზე აქტის გამოცემა.

რაც შეეხება მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული სამსახურის პოზიცია უარყოფითია, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს გზის პროექტირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.